

გამოსაშვები გამოცდები – ქართული ენა

WWW.EXAM.GE

მოცემულია ქართული ენის და ლიტერატურის გამოსაშვები გამოცდების გვერდი

Max Time Allowed: 15 min

Q.1) რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება: ცამდე აიყვანა?

- A. ძალიან შეაქო
- B. სწრაფად დააწინაურა
- C. ხელში აიყვანა
- D. მადლობა გადაუხადა

Q.2) რომელია სწორი ფორმა? I. გაუკრეჭია. II. გაუკრეჭავს. III. გაუკრიჭავს.

- A. მხოლოდ II.
- B. მხოლოდ I.
- C. მხოლოდ III.
- D. I და III

Q.3) რომელია არასწორი ფორმა?

- A. გავთავისუფლდი.
- B. განთავისუფლება.
- C. განვთავისუფლდი.
- D. გავნთავისუფლდი.

Q.4) გაიხსენეთ: „სამანიშვილის დედინაცვალი“:

რის გამო წერს ავტორი, ბეკინა სამანიშვილის „ერთობ გადაპრანჭული“ იყო:

- A. ბეკინა სამანიშვილის საუბრის მანერის გამო
- B. იმ დამოკიდებულების გამო, რომელსაც ბეკინა სამანიშვილის სტუმრის მიმართ იჩენდა
- C. იმიჯის გამო, რომლის შექმნასაც ბეკინა სამანიშვილი ცდილობდა
- D. ბეკინა სამანიშვილის საქორწილო სამზადისის გამო

Q.5)

გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა «სტუმარ-მასპინძელი».

თვითმკვლელობის წინ ალაზა ფიქრობდა, რომ მან და მისმა ქმარმა ქისტებს შესცოდეს.

რაში ადანაშაულებდა ალაზა საკუთარ თავს?

- A. სამშობლოს ღალატში.
- B. ზვიადაურის დატირებაში.
- C. ჯოყოლას მოტყუებაში.
- D. ჯოყოლას ღალატში.

Q.6) გადატანითი მნიშვნელობით უხერხემლო ნიშნავს:

- A. უბედურს.
- B. უპრინციპოს.
- C. უხასიათოს.
- D. უნიჭოს.

Q.7) გაიხსენეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი «დიდოსტატის მარჯვენა». რატომ არ დაიცვა არსაკიძე კათალიკოსმა მეფის სასჯელისაგან?

- A. გაიგო, რომ სვეტიცხოველი არ მოსწონდათ ბიზანტიელ ოსტატებს.
- B. გაიგო, რომ მკრეხელური სურათი დაეხატა დიდოსტატს.
- C. გაიგო, რომ არსაკიძე ფხოველთა ამბოხში მონაწილეობდა.
- D. გაიგო, რომ კოლონკელიძის ასული უყვარდა დიდოსტატს.

Q.8) გაიხსენეთ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა «კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა». რა საერთო აქვს ღვინის სმასა და კითხვას, ვასიკო კეჭერაძის აზრით?

- A. ორივე ზედნიერების განცდას ანიჭებს ადამიანს.
- B. ორივეს ერთნაირად შეიძლება მიეჯაჭვოს პიროვნება.
- C. ორივეს პიროვნული თავისუფლებისაკენ მივყავართ.
- D. ორივე ერთნაირად აბრუებს ადამიანის გონებას.

Q.9)

გაიხსენეთ «ვეფხისტყაოსანი».

რატომ თვლიდა ტარიელი, რომ უსამართლო იყო ფარსადანის გადაწყვეტილება - ინდოეთის ტახტზე ხვარაზმას ძე მოეწვია?

- A. ფარსადანი სარიდანს დაჰპირდა, შენს ვაჟიშვილს ჩემს ქალიშვილს მივათხოვებო.
- B. ფარსადანი სარიდანს დაჰპირდა, შენს ვაჟიშვილს ინდოეთის მთავარსარდლობას ვუბოძებო.
- C. ფარსადანი სარიდანს დაჰპირდა, შენს ვაჟიშვილს ტახტის მემკვიდრედ გავზრდიო.
- D. ფარსადანი სარიდანს დაჰპირდა, შენს ვაჟიშვილს ინდოეთის მეშვიდე სამეფოს გადავცემო.

Q.10) გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „დავითიანი“ და დაასრულეთ ტაეპი:

„ეგრეთ მოსწავლე სწავლასა რა სრულყოფს ...“

- A. დამშვიდებისა
- B. განისვენებსა
- C. მოექნებისა
- D. მოიხსენებსა

Q.11) რომელია არასწორი ფორმა?

- A. გაურიცხავს.
- B. გაუცვითავს.
- C. გაურეცხავს.
- D. გაუთიბავს.

Q.12)

გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსანი“:

ვინ იგულისხმება ამ სიტყვებში: “საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა, ჯერო უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა”?

- A. თინათინი
- B. როსტევანი
- C. ავთანდილი
- D. ასმათი

Q.13) რა ფერია გალაკტიონ ტაბიძის წარმოსახვით თოვლი ლექს „თოვლში“?

- A. იისფერი
- B. ლურჯი
- C. ნაცრისფერი
- D. ცისფერი

Q.14)

მიხიელ ჯავახიშვილის რომანში «ჯაყოს ხიზნები» ვკითხულობთ:

«ჯაყო თეიმურაზის მამულს გარს უვლიდა და, ვითარცა უპატრონო ქონებისა და თავისი ნაოფლარის კანონიერი მემკვიდრე, გააფთრებული გაჰკიოდა: - ჩემია! ჩემია!»

ჯაყოს რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?

- A. უპრინციპობა.
- B. უსაქმურობა.
- C. მომხვეჭელობა.
- D. მოკრძალება.

Q.15) რომელია სწორი ფორმა? I. შეუწყვიტავს. II. შეუწყვეტავს. III. შეუწყვეტს.

- A. მხოლოდ III.
- B. I და III
- C. მხოლოდ I.
- D. მხოლოდ II.

Q.16)

ლეო ქიაჩელის მოთხრობაში «ჰაკი აბა» ვკითხულობთ:

«უჯუშ ემხას სისხლიანი ეპიზოდებით აღსავსე ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო, როცა მას მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებმა მოუხდა ისე, რომ თავისი ერთგული მიძიშვილი ჰაკი აბა გვერდით არ ჰყავდა. ამიტომ ეგონა, თითქოს ეს ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ გულში გადარჩენის მტკიცე რწმენა არ ჰქონდა...»

რა გრძობა დაეუფლა უჯუშ ემხას?

- A. განცვიფრდა
- B. განაწყენდა
- C. აფორიაქდა
- D. გაბრაზდა

Q.17)

გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა «სტუმარ-მასპინძელი».

რა მოიმოქმედეს პირველ რიგში ქისტებმა, როდესაც ზვიადაურის სოფელში ყოფნის ამბავი შეიტყვეს?

- A. ჯოყოლას ხელ-ფეხი შეუკრეს.
- B. მივარდნენ ზვიადაურის შესაპყრობად.
- C. გაგზავნეს ჯოყოლასთან მზვერავი.
- D. ზვიადაური სასაფლაოზე წაიყვანეს.

Q.18) გაიხსენეთ აზოს წამება:

სად ჰყავდა ნერსეს გახიზნული, „დედა და ცოლი და შვილნი“?

- A. ოსეთში
- B. რუსეთში
- C. ხაზარეთში
- D. აფხაზეთში

Q.19) რომელ ფრაზაში აისახება, რომ შუმანიკისა და ვარსკენის ურთიერთობ ვარსენის მიქცევამდე პრობლემური იყო?

- A. მეგონა მე ვითარმედ, იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს
- B. ხოლო მაგას ვერ ვჰყოფ, ვითარმცა მოსისხლეობაი იქმნა
- C. ხოლო უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის
- D. ნუ იყოფინ ესე ჩემდა

Q.20) რომელ წინადადებაშია დაშვებული შეცდომა?

- A. უნებლიედ მათი საუბარი გავიგონე.
- B. ცხოვრება დუნედ მიედინებოდა.
- C. ვახშამი უხალისოდ გრმელდებოდა.
- D. ბიჭი მარტო დარჩა და მწარედ ატირდა.

Answer Key
Q.1) ძალიან შეაქო
Q.2) მხოლოდ I.
Q.3) გავნთავისუფლდი.
Q.4) იმიჯის გამო, რომლის შექმნასაც ბეკინა სამანიშვილი ცდილობდა
Q.5) ზვიადაურის დატირებაში.
Q.6) უპრინციპოს.
Q.7) გაიგო, რომ მკრეხელური სურათი დაეხატა დიდოსტატს.
Q.8) ორივეს პიროვნული თავისუფლებისაკენ მივყავართ.
Q.9) ფარსადანი სარიდანს დაჰპირდა, შენს ვაჟიშვილს ტახტის მემკვიდრედ გავზრდიო.
Q.10) განისვენებსა
Q.11) გაუცვითავს.
Q.12) ავთანდილი
Q.13) იისფერი
Q.14) მომხვეჭელობა.
Q.15) მხოლოდ III.
Q.16) აფორიაქდა
Q.17) გაგზავნეს ჯოყოლასთან მზვერავი.
Q.18) აფხაზეთში
Q.19) მეგონა მე ვითარმედ, იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს
Q.20) უნებლიედ მათი საუბარი გავიგონე.